რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მეშჩათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 1 თებერვალი 1918 წ.

# ბრძოლა

ყველა გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, двр. груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყველაგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гаѳовская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". განცხადებები დაბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 25 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბალშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 25

## მიილეშა ხელის მოწერა 1918 წლ.

### ყოველ დღიურ გაზეთზე

### „ბრძოლა", „კავკასიური რაბოჩი" და „ბანვოლრი პრივ"-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბალშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოზე.

„ბრძოლაზე" ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს 24 მან., ნახევარი წლით—12 მან., ერთი თვით—2 მან.

## ჩვენი გზა.

სამშობლო განსაცდელშია—აცხადებენ ყველა ჯურის ნაციონალისტები და ბურჟუა-იარაღში სხდებიან. ამ ლოზუნგის ქვეშეთ გაერთიანდა ყველა გაბატონებული კლასები და პარტიები; კერძოთ ქვეშეთ ერთ ბანაკათ დაირაზმენ მენშევიკები, ესერები, ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები. წაიშალა მათ შორის ყოველივე განსხვავება და ერთიანათ უტევენ საეროო მტერს; ეს მტერია ბალშევიკები.

ორი ფრონტი, ერთმანეთიდან მტკიცეთ გამომჯნულია ჩვენშიც რამოდენიმეობა და მათ შორის ბრძოლა უფრო და უფრო მკაფიო და თან მწვავე ხასიათს იღებს. დღე, ამ ბრძოლის ეშინოდეს გაბატონებულ კლასებს, მშრომელ ხალხისთვის იგი სრულიათ არ არის საშიში. პირიქით, საშიშია ისეთი მდგომარეობა, როდესაც ირგვლივ გარეგნული მყუდროებაა გამეფებული, რომელიც ფარავს საშინელ გაჭირვებას და სიღატაკეს. ღარიბ-ღატაკთა დარაზმვა და ბრძოლის დროშის აფრიალება თავზარს ცემს გაბატონებულ კლასებს, რომლებიც მას ანარჩიას, ნაძირალების თარეშს და სხვა სახელის-გამტეხ სიტყვებს უწოდებენ.

ნამდვილათ ეს რევოლიუციის გაღრმავებაა, რომელიც სწვდება სულ უფრო და უფრო ძირის საფეხურებზე მდგომ საზოგადოებას ნაწილებს და იწვევს მათში მასიურ თვით-მოქმედებას. რამდენათ წარმატებით მიდის ეს პროცესი, იმდენათ ძალას და გავლენას იკრებს პროლეტარული პარტია, რომელიც იდეური სფეროდან უკვე პრაქტიკულ მოქმედებაზე გადადის.

მშრომელი ხალხი მაშინ არის განსაცდელში, როდესაც ის არავითარ ბრძოლას არ აწარმოებს და გულგრილათ უყურებს თავის დამონებას და დაბეჩავებას. გაბატონებულ კლასების იმედათ ყოფნა მათთან შეთანხმებული პოლიტიკის წარმოება სამარეს უთხრის მშრომელი ხალხის თვითმოქმედებას და მართლა საფრთხეში აგდებს მთელ მის აწმყოს და მომავალს. ამ ჭეშმარიტების შეგნება მასისთვის შესაძლებელია მხოლოთ ძლიერი კრიზისის დროს, რომელიც მთელი სიგრძე-სიგანით უყენებს მას თვალწინ კარზე მომდგარ სასიშროებას და აძლევს მას თვალხილულათ შეხედოს შექმნილ მდგომარეობას.

მდგომარეობა კი მართლა სახიფათო და საბედისწეროა. მერე ვინ შექმნა ეგი და ან ვინ აპირებს და რა გზით მის თავიდან აცილებას?.

მხოლოდ მათ, ვინც დღეს ყოველ გზაჯვარედინზე გაკივის „სამშობლო განსაცდელშიაო". ისინი დღესაც იმ გზით განაგრძობენ სიარულს, რომლითაც მათ ქვეყანა უფსკრულის კარამდე მიიყვანეს. ისინი ქმნიან თავის ბურუაზიულ სამშობლოს და ამისათვის არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან. შეიარაღდით, შეიარაღდით—გაიძახიან ისინი და ნამდვილათ აიარაღებენ ყველას, გარდა მშრომელი ხალხისა, რომელიც ერთათ ერთია ღირსი იარაღის ტარებისა. ისინი ირაზმებიან ნაციონალურათ და ამით ნიადაგს უმზადებენ აუცილებელ ეროვნულ შუღლსა და შეხეთქებას.

მათ არ გააჩნიათ სხვა რამ მიზანი გარდა ეროვნული თავდაცვისა. ფარისეველნი! მათ მიერ არჩეული გზა აუცილებლათ დაღუპავს ეროვნებას, რადგანაც მისი ბურჯი-მშრომელი ხალხი ეკონომიურათ და პოლიტიკურათ წელში გაწყვეტილია და ამის მიზეზი მათი დამლუპველი პოლიტიკაა.

მათ აქამდე ვერ მოიცალეს, რომ მიწის საკითხი რადიკალურათ გადაეჭრათ გლეხთა სასარგებლოთ, თუმცა სწორეთ ეს ზომა დიდათ შეუწყობდა ხელს მშრომელი ხალხის და მაშასადამე, ეროვნების გაძლიერებას. მათ ვერ გაიმეტეს, რომ ძალა-უფლება მშრომელ ხალხს გადასცემოდა და პირიქით იმასაც ართმევენ, რაც ამ მხრით მას მოეპოვება. მშრომელი ხალხის გაერთიანების და შეკავშირების ნაცვლათ ისინი განგებ სთიშავენ მას სხვა ეროვნებათა მშრომელ ხალხიდან და ამ წესით განაცალკევებულს მას ადვილათ უსწორდებიან.

ყველა ეს ზომები მართლაც რომ განსაცდელში აყენებს მშრომელ ხალხს და მასისხიფათიდან გამოიყვანს სრული უკუგდება და უარყოფა ყოველგვარი ნაციონალისტური მისწრაფებებისა.

მშრომელი ხალხის მიერ მთელი ძალა-უფლების ხელში აღება, მემამულეთაგან მიწების დაუყონებლივი ჩამორთმევა, სასურსათო საქმეში ენერგიული ნაბიჯების გაკეთება, გაბატონებული კლასებისათვის დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადება და ამავე დროს მჭიდრო დაკავშირება ყველა ერის მშრომელ ხალხთან—აი რა აგვაცილებს განსაცდელს, აი რა უნდა წაუყენოთ წინ ყველა მათ, ვინც ისტერიულათ გაკივის „სამშობლო განსაცდელშიაო".

## უსუსური პოლიტიკოსები.

რუსეთის პროლეტარიატმა, გლეხკაცობამ და საერთოთ ჩაგრულმა ხალხმა, სამუდამოდ დაასამარა ის პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც ვერ შეუსრულეს ხალხს დანაპირები. მოკვდენ პარტიები, მაგრამ დარჩენ ამ პარტიებში მყოფნი პიროვნებები. რომელნიც განაგრძობენ თავიანთ ფიზიკურ არსებობას მხოლოდ, რადგანაც მათ პოლიტიკას ცხოვრებაში აღარავითარი ნიადაგი აღარ აქვს.

რუსეთელმა მენშევიკ-ესერებმა, დაჭკარგეს რა თავიანი პოლიტიკური ნაგვი, საყუდელი, დემონებიენი დაეშენენ მოეკრნენ რუსეთის აზვირთებული ცხოვრების სივრცე-სიმაღლეებს; ისინი უხლა ერთ-გვარ პოლიტიკურ სტიქიას ემორჩილებიან მხოლოდ და თავისი სანუ აღარ აქვთ.

კავკასიელი მენშევიკები ამ მხრივ გაცილებით უკეთეს პირობებში იყვნენ დღემდის.

სასტიკათ დამარცხდენ რა რუსეთში, ისინი თავქუდ მოგლეჯილნი გამოექანენ კავკასიისკენ და გულმკერდში ჩაეკრენ იმ ნაციონალურ პარტიებს, რომლებსაც დღემდინ დაუნდობლათ ეკამათებოდენ.

რა თქმა უნდა აქ გასაკვირვალი არა არის რა. მენშევიკები საქმის ხალხია და ისინი „ეშმაკსაც კი დაუახლოვდებიან," ოღონდ ბოლშევიკები დაამარცხონ!

საქართველოს ეროვნული საბჭოს გარშემო, აირია სხვადასხვა ფეროვანი ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული დროშები, მათ შორის ახალ მოყვანილი პატარძალივით მორცხვათ გამოიყურებიან აქაური მენშევიკების მებაირახტრენი,-პროლეტარიატის უმახვილესით შეიღებილი წითელი დროშებით ხელში.

ასეთი საქციელით მენშევიკებმა ერთგვარი დემონსტრაცია მოახდინეს თავისი პოლიტიკური უძლურებისა, ამგვარი ეროვნული საბჭოს შექმნით სამუდამოდ გაკოტრდა მათი ტაქტიკა საქართველოშიაც.

ვინც კარგათ დაუკვირდება სხვადასხვა პროვინციებიდან გამოძახილ. ხმას ნათლათ დარწმუნდება, რომ მათ ყველგან შეეპარათ წყალი.

წაუხდათ საქმე ჰიათურის მენშევიკებსაც, მათ ვეღარ შესძლეს - ხალხის მარტო ზღაპრებით დაკმაყოფილება, დღემდინ ხალხი თუ ბრმათ ემორჩილებოდა მათ დამლუპველ პოლიტიკას დღეს მას „რევიზია" უნია და დარწმუნდა რა მის სიყალბეში, თავი დაუკრა და სამუდამოთ გამოესალმა.

14 იანვარს მოხდა ჰიათურის რაიონების ჯარის კაცთა კრება. აქ ბ: ზ. გურულმა პირველათ იგემა მთელი თავისი დემაგოგიური ძალაუწყრების განმავლობაში ხალხის რისხვა. რა თქმა უნდა ეს იყო დაჯმობა არა პიროვნებისა, არამედ მთელი მენშევიკური სტრუქტურისა.

ხსენებული დღისთვის ცბადებდა ბურუაზია და როგორც მისი განკარგული საკრთო ფარამალს ისმაყვილებდენ მენშევიკ-ესერებიც.

გადაწყვიტეს მენშევიკებმა ჰიათურის ჯარის კაცებს საშუალებით დასთმენებოდენ ემხადებიანო და როგორც იქნა ბოლო აქეთ თავიანთ გამეფებული პარაკაციული ხელი დაიხვიეს ხელზე მისხედად. დაუწყეს ჯარებს კრეფა ახვადასხვა ადგილებიდან. მთავარსარდლობა ბ-ნ ზაქარაის მიანდეს. ამბაყოდა მენშევიკური-ბურჟუაზიული ბუნაგი „სიფრთხემ" შეაერთა მენშევიკ-ესერ-ეროლისტ ვაჭარ მრეწველების ჯგროკ კი გაარჩევდა ამ დღეს კაცი, თუ ვინ იყო თვსი „სოციალისტი" იყო მენშევიკი ესერი, თუ ვაჭარ-მრეწველები?

ამავე დღეს იმართებოდა დ. საბჭოში ჯარის კაცთა მიტინგი. რადგანაც ჰიათურაში კრება ცოტა გვიან იწყო დაწყებულიყო და ბ. მთავარ-სარდლის განკარგულებაში სწრაფ-მავალი მატარებელი იმყოფებოდა, ამიტომ მან გადასწყვიტა ორიე ადგილას კრება ჩაეშალა და ამ ნაირათ ორი კურდღელი ერთად მოეკლა და ამით სამუდამო ნდობა დაემსახურებია.

ეკვეთა ჯერ საჩხერეს, მოწვეული რაზმით. იქ ის დაამარცხეს და კუდამოძუებული გამოისტუმრეს.

ის იყო კრება თავდებოდა, როდესაც ადგილობრივი თეატრის დარბაზში შემოიჭრა ბ. ზაქარია საშინელი აღელვებული და მოითხოვა სიტყვა. ასტყდა საშინელი პროტესტები, და ხმაურობა: „გაიყვანეთ, მოგეაშორეთ თავიდან, არ გვინდა!“ გაისმოდა ხმები. პოლოს ალაპარაკეს მაინც, მაგრამ რა დარწმუნდენ, რომ მას თავისი გაუთაეებელი, უშინაარსო სიტყვით უნდოდა კრება მოექანცა. რომ ამნაირად ველარაეითარი დადგენილება ვერ გამოეტანათ, მას აღარ მისცეს სიტყვის გაგრძელების უფლება.

ბ-ნ ზაქარიაზს, როდესაც საჯაროდ გამოდის ის სალაპარაკოთ, მას თითქმის ყოველთვის მხარს უმშვენებს რამოღენიმე „ღიპ-მუცელა ვაჭარ-მრეწველი. დღესაც ეს „სოციალისტური“ თაგუული ამკობდა და დიდი აღშფოთებული იყვნენ ამ „შინელიანი კრების“ წინააღმდეგ. ისინი შეეწუვეტლივ ისროდენ ათასგვარ პროეოკაციულ სიტყვებს, რასაც კინაღამ საშინელი შედეგი მოყვა.

„ძველი რევოლიუციონერი“, „ნაფიცი თავდჯდომარე“ ბ-ნი ანთელიძე საშინელი გულ-ამაჩუყებელი სიტყვებით მიმართავდა ხოლმე კრებას, მაგრამ არც ამ ხერხმა გასჭრა. მან ერთ ახალგაზრდა ჯარის-კაცში თავისი ძველი ნამოწაფარი იცნო და შემდეგ სიტყვებით მიმართა, „ბიჭო, მისთვის გაგზარდე, რომ დღეს ასე მოქიეულიყავიო?“. ახალ-გაზრდა ჯარის-კაცმა მახვილად უპასუხა: „თქვენ ანბანი ასწავლეთ და არა პოლიტიკაო“.

კრება დამთავრდა. მიიღეს ჩვენი რეზოლიუციები.

აირჩიეს მთელი რაიონების წარმომადგენლები რიცხვით 14 კაცი, რომლებმაც ერთად უნდა იმუშაონ მუშათა საკრისთან.

რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან დასწიკიდებულებაზედ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

„ვეიას, 14 იანვარსწენ მთელი პიატერის რაიონის ჯარის-კაცთა წარმომადგენლები შეეკრიბენით და დადგინეთ შემდეგი: რუსეთის დღევანდელი მთავრობა, ეს არის მუშების, გლეხების და სალდათების მთავრობა. ჩვენ ულმა ხალხმა პირველად იხილა მთელი რეა თავის განმაელობაში ნამდვილი. მისი ირესებების გამომხატველი ორგანო. ამიტომ ეტაცებით ვეკგებით მას და ღელეკავთ, რომ ეკანონიერი სისხლის შეთხვდის ციჩრძოლით, ყოველგვარი ტატორ-რევოლიუციის წინააღმდეგ. რა ღიც მის დასაცავად ვეფრე ვქნება მიმართ.

ამაეე დროს არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის საშუალო და სამარცხვინო მოქცევა, რომელიც რუს დიდგან გამოყოლდა კადეტიაში სოციალისტებმა ჩაიდინეს ხელოვნურად ეროვნული საბჭოს შექმნით.

ის საქმე მოიქალატე კერენსკის კონტრა- მთავრობის ეროც ასეთს, ჩვენ მას ველებლობას უჩვენებთო.“

ბ-ნ ზაგრული ხალხის

ოლიციას!

ციალისტებს!

## შენშენიშვნა

გუშინის ბატონ-პატრონებს (მენშევიკებს) სხვა პირისყოფათა შორის დაეწერა ახალი პირისყოფაც: შეიტყობენ თუ არა, რომ მოწინააღმდეგენი აქ არ, თუ ვის და რომელ მტრებს ელიან ბაღუთან, მოაწყობენ მაშინვე საჩქარო მელები, მაშინ კი არც აცხელეს მენშევიკების „ქება დიდებას“ და იდგმაგოგეებენ, ოაეისებურათ აუწყებენ ხალხს მომენტს და ბალშევიკების „აეანტიურას“ იქამდე, სანამ ყარყალით არ დაიღლებიან. ერთი ასეთი მიტინგი მოხდა სოც. შემოქმედში 20 იანვარს.

მიტინგს თავმჯდომარეობდა ბ. დავითი ერქომაიშვილი. მომხსენებლებიც, ღეთის მადლით მრავალნი იყვნენ. პირველათ ილაპარაკა ბათუმის თვითმართველობის გამოგზავნილმა მომხსენებელმა არსენ წითლიძემ.

მომხსენებელმა აუწყა ხალხს, რომ ბათუმი განსაცდელშიაო და ამიტომ ქალაქის (ბათუმის) თვითმართველობამ გამოგზავნა გურიაში, რომ შეეკრიბოთ ორასი—სამასი წითელგვარდიელები, რომელნიც წამოვლენ ჩემთან ბათუმში, სადაც ისინი ძლიერ კარგს ნიადაგზე იქნებიანო, მხოლოთ შესაძლებელია შეტაკება მოუხდეს ფრონტიდან მომავალ რუსის ჯარისკაცებთან, რომელნიც ზღვით მოვლენ ამ დღეებში ბათუმთანო და სხ. მან მოკარგული და მხეჭავალე სიტყვებით აუწყა ხალხს აგრეთვე, რომ არა მარტო ბათუმი, არამედ მთელი ჩვენი საკოდავი საქართველოც დიდ საფრთხეშია, რადგან გარშემორტყმულია ველური და გაუნათლებელი ხალხებითო და ამიტომ ადრე თუ გვიან მოხდება მობილიზაცია და საერთო შეიარაღებაცო, მაგრამ ბათუმს კი ამ დღეებში მოუახლოვდება „ტერი“ და საჭიროა მას იარაღი დავატყვებინოთ და თუ არ დატოვა ნებით, მაშინ გვეპყივრება თქვენი, გურულების, გმირობაცო და მოუწოდა ხალხს ჩაწერილიყვნენ გვარდიაში და სხვა.

შემდეგ ილაპარაკა ჯ.-კ. სარჯველაძემ. მან მხურვალე სიტყვით მიმართა ხალხს, რომ არაეითარი მტერი, არც ოსმალები და არც გერმანელები არ ესხმის ბათუმს, ბათუმისაკენ მოდიან ბოევი რაზმის ჯარისკაცები, რომლებიც 3-4 წელია გვიცავდნენ ჩვენებით და დღეს მათ ჩვენ თურმე იარაღი უნდა ჩამოვართვათ და თუ ნებით არ დატოვა, ძალით უნდა დავატყვებინოთ, ამისთვის კი შეიძლება უსარგებლოთ ჩვენც შეეწყვდეთ და იმათაც არ ეაციროსთო სამშობლოს ნასვიო. და თუ სამშობლოს დაცვა მოუნდება გაორეშე ბტრებიდან, ჩვენ მუშების და გლეხების ბტრი არავინ დაიცავს და ინტელიგენცია ამისთვის ყურსაც არ გამოიბერტყაესო და სხვა. მერე ლაპარაკობს მეორე ბათუმელი მომხსენებელი ჯ.-ბაძეაე. ისიც მომხსენებელ წითლიძესთან განაგრძობს ლაპარაკს და მოუწოდებს ხალხს ჩაწეროს გვარდიაში ილაპარაკა აგრეთვე ოზურგეთელმა რამ. მიშვილმა, რომელმაც სხვებასთან მოუწოდა ხალხს „ბტრებთან“ შესახვედრათ. მაგრამ არავინ არ ჩაეწერა, რადგანც ხალხი დაეეჭვიანებულიყო, არ გახდა ბრძანარაი მენშევიკების პროეოკაციისა. შემდეგ ილაპარაკა ჩხეიძემ, რომელიც პირველად ჩაეწერა გვარდიაში და მოუწოდა ჯ.-კაცებს და ახალ გაზდებს მოელაპარაკნათ მაშინვე იქ მომენტზე და წაწერილიყვნენ წით. გვარდიაში. მიტინგიც შეწყდა დროებით, როდესაც მიტინგი განახლდა, გამოაქეყნეს სია გვარდიელთა, რიცხეით სულ 7, თუმც მენშევიკება 100—150 მდე ელოდნენ მომხსენებლებმაც და სხვა ოპორონცებმაც მოუწოდეს ხალხს ჩაწერილიყვნენ, რომ „სირცხეილი არ ეპამათ გურულებს.“ ამ დროს მოვიდა ამბ. აღ. ერქომაიშვილი, რომელმაც ითხოეა მიეცათ ნება ნახეეარი საათის ლაპარაკისა, რათა / აეხსნა ხალხისთეის, ვიკ-ობორონცებმა და არც აციეეს და განაცხადეს, რომ საკითხი მოჰრილია და არაფერი ახსნა—განმარტება აღარ არის საჭიროო. მიუხედავათ ამისა, სიტყვა ეძლეეა ბ. მელიქიშეილს. ის თავისებურად, უწინდებურად ლაპარაკობს ბათუმზე და „მის მომენტზე“. დაეშეიანებული ხალხი სიტყვას აწყეეტინებს, საქმე ქამდე მიდის, რომ 100-150 კაცის მაგიერად ვერც 7 კაცი მიდის ბათუმის „დასაცეელად“. ამ ნაირათ არ ალაპარაკეს ამხ. ა. ერქომაიშეილი მომენტზე. მერმე საკითხი ეხება სასურსათო კრიზისს. მოხსენებას აკეთებს გუგუნაეა და სხვა. სჩანს სურსათი უშოვნიათ. მაგრამ საქმის სხეა მხრივ მოგვარება ვერ შეუძლიან, რისთეინაც თხოენით და ტელეგრამებით მიუმართათ ჟორდანიისთეის და სხეა მმართველ წრის წარმომადგენლებისთვის. ამის შესახებ სხეებმაც ილაპარაკეს. ბერძენ „მოწყალებითა ღეთისათა და დავით ერქომაიშეილისაო“ მისცეს სიტყეა აღ. ერქომაიშეილს, სასურსათო საკითხზე იმ იმედით, რომ პოლიტიკაზე დამ ომენტზე არ ილაპარაკებდა. მაგრამ საუბედუროდ მათმა ორატორმა ამხ. ა. ერქომაიშეილმა სასურსათო კრიზისთან ერთად მშეენიერად დაახასიათა მენშევიკების და ამ-კაეკ. კომისარიატის კალეიშნ კარაულოე კორნილოეთან დამოკიდებულება, რითაც უფრო გამწეეეა სასურსათო კრიზისი და აგრეეე მშეენიერათ დაახასიათა მისეე სიტყეით. ბალშევეკების მოქედება ლადო შეიქმედელი.

## მკითხველის ბერილები.

ძველ მთავრობასდა მის მომხრე არისტოკრატიას მრავალ ბოროტებათა შორის ქალთა შესაბებაც ერთი ცუდი ზნე ჩეეულება სჭირდათ, რომელიმე დემოკრატი რომ იტყოდა: ქალს უფლება უნდა მიეცეს, რომ კოველ სამოდეწეო ასპარეზზე გზა ფართო და ხსნილი ჰქონდესო, ასტეხდენ აური-ხაურს: ქალს რათ უნდა უფლება, იგი კერასთან უნდა იჯდეს და ოჯახის საქმეს პირნათლათ უძღვებოდესო.

რომ შეიძლება დედაკაცი ოჯახსთაც საუკეთესოთ ასრულებდეს დიასახლისის მოვალეობას და გაერთეც თეალსაჩინოთ მოედგა წეროდეს.

შეგნებული მუშა მუდამ მზარს უჭერდა, ეხარბებოდა და ესარჩლება ქალის პიროენებას. მუშა, როგორც მისი მონობის ბოროკეების დამხსნელი დამობდა ისე მისი წრის მუშა ქალის განთავისუფლებისთვის იბრძოდა. რადგან დედაკაცთან ერთათ მონობის კოცონზე იწოდა და ის მამა-კაცნი, რომლებიც ქალთა უფლების წინააღმდეგ გაჭეოდენ და წამის-წამ დიასახლისის მოვალეობაზე უთოდებდენ, თავიანთ ცოლებს, ქალებს ხელს ან ანძრეეინებდენ დედას შეილის აღრხდის ნებას არ აძლეედენ. ჩვენ წოდებას ეს არ შეშვენისო; სამხარეულოში საქმის გამოსატანათ არ შეუშვებდენ: დიდ-კაცობა შეგეელახებაო. სახოგადოებრივი მუშაობა ხომ სათაკილოთ მიაჩნდათ.

ფიქრობდენ: ქალი თუ ჩაებმებოდა შრომის ფერხულში, დაკარგავდა იმ ქალურ ნაზ, ნარ-ნარ, ჰაეროვან ელფერს და მშეენიერებას, რომლითაც ბალ-სალამოებ-კლუბ-თეატრებში ენებათა-ღელეეის დასაკმაყოფილებლათ იხიდავდა მამაკაცს.

აი ასეთი ყოველათ სამარცხვინო საქციელი მამაკაცისა საუკუნოებით ამცირებდა ქალის პიროენებას; მაგრამ ნათ-

ქამია: ყველ
და დღეს თა
ცნო ქეეყანას
ლი ხელ ჩაკი
ერების ასაყეა
შაობენ. მხო
დროს არ ძარ
აცლინშნო ამ
რად ეინიანობა, რომ ქალი ი
უნდა იყეეს და მე მისი ბატონი
ნებელიო.

ჯერ დედაკაცისათვის არ ჩა
ბათ ზოგიერთი ქალების ის გმი
ბრძოლა, თავგანწირეა, სულის
რომელთაც მთელი სიცოცხლე
ბედნიერება, პირადი ქეი
ახალგაზრდობის გაფურჩქნილი
მაკი, ყეავილოეანი დრონი თავის
ბის მოპოეის ძიებაში გაუტარებია
განუმარტავთ დედა-კაცის ის უნ
დაბოსეული სისხლი ბრძოლის
რასაც მოუწერწყავს დედა-მიწა
კაცის არარაც ჩაგდება, აბუჩათ მი
გათხსირება მიუტეეებელ ცოდეის
სხლის ასოებით აღიბეჭდება ისტო
ფურცლებზე.

ამხანაგებო, მოქალაქენო, მე, როგორ
ქალი, დედა-კაცი, როგორც
უდიერ ცხოერების ტანჯული,
მოეითხოე დემოკრატ ქალთა სახე
ყოეელ დაწესებულებაში, ყოეელ
ქმედო ორგანოებში საეალდებულ
იქნას ქალის მიეება და არა ისე,
გორც დღემდის, როცა მატყუარა თვ
თმაქცობით მიმდინარეობდა, არა
როგორც შეეფერება დღეეანდელ ქა
გათეითცნობიერებულ ფიზელ თავ
ყვარეობას.

ამხანაგებო, დედა-კაცი ღირსია, ღი
სეული ალაგი დაიკაოს ცხოერებაში.

ანეტა კაპანაძისა.

## მუშათა ფეილეტონი.

მოლიპული გზით.

ამიერ-კავკასიის კონტრ-რეეოლიციონერები აღარ ბუშრობენ. ამ ბოლო რაზმელებმა განიმორეს ის სამარცხვინო პოლიტიკა, რომლის წყალობით ილისის დღეებშიპროლეტარიატმა დროებით წამოიჩოქა ღა რის მეოხებით დიდებული პროლეტარიატის ტრიბუნი ლენინი იძულებული იყო დროებით თავი შეეფარებინა მუშების და სალდათების დაფლეთილ კალთას ქეეშ. ბოლოს გადარჩენილიყო კონტრ-რეეოლიციონერების ციხე-ტყეეობას. ხან მოკლე იყო ლენინის ასეთი მდგომარეობა, რადგან პროლეტარიატმა და გლეხობამ აღორძინეს ისინი და გამარჯეებულმა, კოლციის ნაცვლათ პროლეტარიატის დროშა აღმართა. ცრუ სოციალისტებმა, რაც დასთესეს ის მოიმკეს. მათ განიზრახეს ნამდეილ სოციალისტების დასამარება, მათთვის გაამზადეს პეტრე-პავლოეის ციხეში საგანგებო კამერები, მარა პროლეტარიატმაც მათ მიანიჭა ეს ოთახები საცხოერებლათ. მაგრამ კონტრ-რეეოლიციონერები საქმის ხალხია, მართალია პირველ ხანებში დაიბნენ და არ იცოდენ, სად იყო გამოსაეალი, მაგრამ მალე გონს მოეიდენ და თანდათან დაირაზმენ; უკრაინის რადა, დონის ოლქი და ამიერ-კაეკასია, ეი სამეფო მაგბნელი კონტრ-რეეოლიციის, რომ-

ის გამარჯვება სოციალიზმის დასამარებაა და რომლის დამარცხება, საერთოდ სოციალიზმის ფრთების გაშლა და გამარჯვებაა. ამხანაგებო მუშებო! უღარიბესო გლეხ-კაცობავ! სისხლისაგან დაცლილო მუშებო! კარგათ დაფიქრდით, ასწონ-დასწონეთ თვითეული მათი მოქმედება და მსჯავრი დასდეთ მათ მოქმედებას. უკრაინის რადა ეს ხომ იგივე ხალხის მტერია, როგორც იყო კერენსკის მთავრობა? უკრაინის რადა — ეს ხომ ჩვენებური კაპიტალია ფედერალისტების და დაშნაკელების საოცნებო საგანია? ხალხის მთავრობამ ყოველივე ერს მიანიჭა თავისუფლება, მაგრამ, არა იმისთვის, რომ ამ თავისუფლებით ისარგებლოს შოვინისტური ბურჟუაზიამ და წელში გასტეხოს თავისი მშრომელი ხალხი. ეს რომ ასე ყოს, მშრომელი ხალხის მთავრობა იქნებოდა იმისთანა გამყიდველი მშრომელი ხალხის ინტერესების, როგორიც ყო მისი წინა მთავრობები, ამხანაგებო მუშებო! თქვენ ხშირათ გაიგონებთ ეით მენშევიკებისაგან, რომ ბალშევიკების დამარცხება—ეს მთელი პროლეტარიატის დამარცხებაო. მართლაც და ეს ამას მარტო სიტყვის მასალისათვის ხმარობენ, რატომ ასე შეტრფიან ლშევიკების დამარცხებას და მეფის ნერალს კალედინს ასე თავგამოდებით ხმარებიან?

თუ მართლა მაგათ შესტკივათ გული ესეთის პროლეტარიატისადმი. რატომ ჯაროთ ხარხარობენ და შესტრფიან ეს დღეს, როდესაც მათი იდეური მოაზრე კალედინი ძლევით გამოუგზავნის მათ და მიპრთმევენ ერთეულ საბოში—ნაციონალიზმის დროშის ქვეშ ამოყრილთ ლენინის თავს? იმ ლენინს, რომელმაც თავისი ახალგაზრდობის დღენი მხოლოთ პროლეტარიატის ინტერესებს შეალია? მაგრამ მენშევიკები აქ ველთმაქცობენ. სიტყვით პროლეტარიატს ებღაუჭებიან, საქმით კი მის ოფლავს ამზადებენ. ამხანაგებო მუშებო! ისსენეთ მათი უკანასკნელი მოღვაწეობა: არსენალზე მუხანათურათ ფავასხმა, რომელიც, ვინ იცის, რა საშინელ ხასიათს მიიღებდა, რომ ბალშევიკების ბრძნულ პოლიტიკას არ გადაეჭრა; გაიხსენეთ განჯის ამბები, ავანტიურისტ აფხაზავის მეთაურობით, თუ ამდენი უმანკო სისხლი დაიღვარა იმ დამიანების, რომლებიც მეთხე წელიწადია მშიერ მწყურვალნი, ნახევართ ტიტველნი, დაჭანცულნი სახლში მიეშურებოდენ. ამ დროს მათ იარაღის გულათვის, შხამით დამთვრალნი შოვინისტები ტყვიით უგმირავენ გულს. ამხანაგო ეს ყველაფერი ნაყოფია იმ პოლიტიკის, რომელსაც მენშევიკები აწარმოებენ შოვინისტებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი.

უკანასკნელათ ყველაფერს გადააჭარხეს და ხალხის მთავრობის კომისარის ამბ. შაუმიანის დაპატიმრება განიზრახეს ამხანაგებო მუშებო! კარგათ დაუკვირდით თუ რა საშიშარ შნელ საქმეებს აკეთებენ შოვინისტები, მენშევიკ-ნაციონალისტები და ცრუ სოციალისტები. ამბ. შაუმიანის დაპატიმრებით. ისინი აშკარათ ომს უცხადებენ რუსეთის რევოლიუციას და ფეხით სთელავენ მას; შაუმიანის დაპატიმრებით ისინი იმეორებენ კერენსკის გამყიდველ პოლიტიკას იულის დღეებისას. ამბ. შაუმიანის დაპატიმრებით ისინი კალედინთან ერთათ ირაზმულნი მიდიან ხალხის მთავრობის წაღმდეგ და უნდათ წაატკიცონ ის მუშრომლის ნაყოფით თვითონაც იკვებიან.

შორს არ არის ის დროც, როდესაც ოქტომბრის რევოლიუციის აგიზგიზებული ცეცხლი ჩანთქავს ყოველგვარ ბოროტებას და მეტების ციხის ის ოთახი, რომელიც გამზადებულია ამბ. შაუმიანის და მის მიმდევრებისათვის, დაეთმობა მშრომელ ხალხის მტრებს. ჩვენ ვერ შეგვაშინებს ვერავითარი დევნა.

ჩვენ ვიცით ბევრი მყვირალა სახელები, რევოლიუციამ ისინი არ დაინდო და გზიდგან ჩამოიცალა: პროლეტარიატს ისინი დიდხანს არ უგლოვია, რადგან მუშათა კლასმა არ იცის გლოვა. როდესაც შეატყო მათ ღალატს, ისინი წყევლა-კრულვით მოიშორა თავიდგან და თავისი გზით წავიდა. ბევრი მუშები ტრადიციულათ შეზრდილნი არიან მენშევიკების ბელადებთან და ვერ წარმოუდგენიათ მათი ჩამოშორება. მაგრამ ჩვენ მუშები უნდა ვაფასებდეთ არა პიროვნებას, არამედ მათ მოქმედებას. ოცი წლობით ჟორდანია გამოდიოდა ინტერნაციონალური დროშით და ჩვენ მასთან ვიყავით, ოცი წლობით ჟორდანია სასტიკი მტერი იყო, როგორც თვითმპყრობელობის, ისე ბურჟუაზიის და შოვინისტების. მაგრამ ამ უკანასკნელათ, როდესაც მან მთელ ნაწველს ფეხი კრა და სულ დაღვარა, ამ დღიდგან ის მუშათა კლასს შორდება, როდესაც ის საქართველოს ხალხის სახელით გამოდის და ინტერპარტიულ - ეროვნულ საბჭოში იღებს მონაწილეობას, და არამც თუ მონაწილეობას, არამედ მეთაურობასაც ხდება. ამ დღიდგან ის ბელიდგან აგდებს ინტერნაციონალურ დროშას და ნაციონალურ დროშის ქვეშ მოუწოდებს მიმდევრებს. ამით ის მესაფლავე ხდება ინტერნაციონალიზმის და ხდება ანჩილ ჯორჯაძის მოწაფეთ, რომელიც მთელ საქართველოს მოუწოდებდა: ხელი აიღეთ კლასთა ბრძოლაზე და ერთი ნაციანი საქართველო შეექმნათო. დღეიდგან ჟორდანია ინტერნაციონალისტი აღარ არის, ის არის მხოლოთ ჟორდანია ნაციონალისტი. პროლეტარიატი მის დროშას ვერ გაყვება, რამეთუ ამ დროშას აწერია ნაციონალიზმი, და პროლეტარიატის დროშა კი ინტერნაციონალიზმია.

ილიკო პაპავა.

## მენშევიკების სამხედრო კომიტეტი და სამხედრო სარევოლიუციო ცრიცუნალი გურიაში.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ მენშევიკების ბატონობამ საბჭოებში და მათმა კონტრ-რევოლიუციონურმა ტაქტიკამ თანდათანობით დაუკარგა ნდობა საბჭოების ხალხში. ამ დღეებში გურიაში გააკრეს განცხადებები ოზურგეთის მუშათა ჯარის კაცთა და გლეხთა დეპ. საბჭ. აღმასრულებელი კომიტეტის სახელით. ამ აღმასრულებელმა კომიტეტმა შეადგინა გურიის დროების რევოლიუციონური კომიტეტი და ამ კომიტეტთან დაარსდა ყველა პოლიტიკურ პარტიების და რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალი. რასაკვირველია, თუ რა მოსაზრებით დაარქვეს ამ ტრიბუნალს — სამხედრო ტრიბუნალი. სხვათა შორის ქ. ოზურგეთის რევოლიუციონური კომიტეტი თავის დიქტატურას მთელს მაზრას ახვევს თავზე—ესეც ძალზე გასაკვირია. ტრიბუნალისთვის ვიღაცას დიდი უფლებები მიუნიშნებია რაც გამოიხატება დატუსაღებიდან კატორღაში გაგზავნამდე. ეხლა მოისმინეთ, თუ რა დადგენილებები არის გამოტანილი ამ კომიტეტის მიერ. ქვემოთ მოყვანილია უფრო საყურადღებო მუხლები:

1. „სასტიკათ აკრძალულია სასროლ იარაღის ტარება უნებართვოთ“. ეს მუხლი სერიოზული საკითხი არის გურიის მენშევიკებისათვის, რადგანაც ამ ბოლო დროს ბალშევიკებმა მაგრათ მოიკიდეს ფეხი გურიაში. ვეკითხებით: ვის უკრძალავთ თქვენ იარაღის ტარებას უნებართოთ? რასაკვირველია გვპასუხებენ: „ავაზაკებსო“, მაგრამ ვის გაუგონია, ავაზაკებმა ვინმეს ნება სთხოვეს იარაღის ტარებისათვის. ნიკოლოზ მეორის დროს თქვენ კარგათ იცით, თუ როგორ სასტიკათ იყო აკრძალული იარაღის ტარება, მაგრამ ავაზაკებს ყოველთვის ქონდათ სხვადასხვა საუკეთესო იარაღები, მაშ ყოფილა სხვა მოდგმის ხალხი, რომელსაც არ ეძლევა უნებართოთ იარაღის ტარება. ვინ არიან ეს ხალხი?

ამ დღეებში გურიის ერთ-ერთ კუთხეში ასეთ მაგალითს ქონდა ადგილი: მოგებსენებათ, რომ ყველგან არსებობს სახალხო მილიცია, სადაც მე მგონი არ უნდა ქონდეს პარტიულ მიხედულობას ადგილი. ერთ სოფელში სამილიციოთ იყო არჩეული ე კაცი. შემდეგ გაიგეს, რომ ერთი მათგანი არის ბალშევიკი, რომელიც რასაკვირველია გაძევებულ იქმნა. განცვიფრებით განაცხადა ბალშევიკმა,—რომ აეხსნათ მისთვის თუ რა ქონდა დანაშაული, რომ მას რევოლიუციის დაცვა არ ანდეს. პასუხი ჯერაც არსაიდან სჩანს. რას ნიშნავს ეს ბატონო „სოციალისტებო“? აქედან ცხადია, თუ ვისთვის ყოფილა საჭირო იარაღის ტარებისთვის ნებართვის აღება.

ეხლა ავიღოთ მე 7-დე პუნქტი დადგენილებისა: „აკრძალულია სამხედრო კომიტეტის ნება დაურთველათ წარმოდგენებისა და საღამოების გამართვა და ქუჩაში საქველმოქმედო მიზნით ბილეთების გაყიდვა და ფულების შეკრება“. აქედან სჩანს, რომ მენშევიკების აზრით საჭირო არის ზოგიერთი სოციალისტების მოქმედება არალეგალურათ შექმნან. ასეთი დადგენილება მე მგონია არ შეიძლება ისეთმა რევოლიუციის ავანგარდმა, გურიამ, გამოიტანოს, რომლის სათავეში დგომით თქვენ ყოყოჩობთ. ცხადია, თქვენ გურიაში მონარხისტების არ გეშინიათ. თქვენი ასეთ კონტრ-რევოლიუციონური გზაზე დადგომა გამოიწვია იმ რევოლიუციამ, რომელსაც თქვენ ბუნტს უწოდებთ. ჩვენ თავიდან ვამბობდით: იქ, სადაც ოქტომბრის **რევოლიუცია** დღესასწაულობს—თქვენ **კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში პარპაშობთ**. მაგალითათ რუსეთში. ხოლო აქ კი იმდენათ გადაიხარხართ კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში, რამდენათაც ძლიერდება ოქტომბრის რევოლიუცია. ვითომ ამ კომიტეტების და ტრიბუნალების დაარსებით აქაურ მენშევიკებს უნდათ წაბაძონ რუსეთს, მაგრამ ნათქვამია: „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“. საქმე საჭელის დარქმევაში კი არ არის, არამედ საქმის გაკეთებაში. ეხლა მკითხველი თვით მიხვდება. ასეთს, რომელსაც ზემოხსენებული დიქტატურა აქვს გამოცხადებული, დაერქმევა თუ არა რევოლიუციონური ტრიბუნალი ან და რევოლიუციონური კომიტეტი?

ამბერკი ურუშაძე.

## † კლასიონ ლევანის ძე მელაძე

4 იანვარს ქ. სოხუმში შანტაჟისტთა ხელით მოკლულ იქნა ჩვენი ერთგული ამხ. კლასიონ მელაძე.

ელეის სისწრაფით მოირბინა მთელი ხონის რაიონი კლასიონის სიკვდილის ამბავმა. ჯერ კიდევ კლასიონი არ იყო ჩამოსვენებული სოხუმიდან, რომ ყველა კუთხიდან და სოფლიდან მოდიოდენ მისი ძველი ამხანაგები განსვენებულის შესახედათად.

9 იანვარს, შაბათს, გამოჩნდა მათხოვრის ქუდიდან წითელი დროშა, რ ხელსაც მოყვებოდა მრავალი ხალხი.

პირველი საათი იქნებოდა, რომ სამტრედიის ქუჩიდან მომავალმა ეტლებმა მოასვენეს ჩვენი ძვირფასი ამბ. კლასიონის სონელ ამხანაგების თხოვნით დაასვენეს ქალაქის ბაღის წინ და სიტყვა წარმოსთქვეს სამიოდე ორატორმა. შემდეგ პროცესია დაიძრა წითელი დროშებით და თავისი სამშობლო სოფლისკენ გაემართა მიცვალებული.

11 იანვარს დანიშნული იყო დაკრძალვა. ხონის ამხ. შეატყობინეს მთელ რაიონს დაკრძალვის დღე და კიდეც მოიყარეს თავი ხონში და აქეთ კი წითელი დროშებით და ცოცხალი ყვავილებიანი გვირგვინებით გაემართენ მათხოჯში.

საფლავთან წარმოსთქვეს სიტყვა: მენშევიკთა სახელით ვარ. ხუროძემ, კოოპერატივის სახელით ე. მელაძემ, კუხის ბალშევიკთა ორგანიზაციის სახელით. კონტუათის, სოხუმის და ხონის ბალშევიკთა კომიტეტის სახელით ამბ. ბუდუ მდივანმა, რომელმაც თავის მჭერმეტყველურ, მკაფიო და მომხიბლავ სიტყვაში დაახასიათა კლასიონი, წარსულში 1905 წლის მოძრაობაში, მისი გაბეღღულობა, გულწრფელობა და ერთგულობა. ორატორმა ხაზი გაუსვა დღევანდელ რევოლიუციას და აღიარა მისი უდიდესი მნიშვნელობა მთელი მსოფლიო პროლეტარიატისათვის. სრული არა რაობა კოალიციონური სამინისტროსი და სხვა მრავალი.

ვინ იყო კლასიონი?

ეს ძველი ერთგული პარტიული მეშაკი ჯერ კიდევ ეგნატე ნინოშვილის დროს არალეგალურათ ეწეოდა ნინოშვილის წრეში მუშაობას. ბათუმის პირველი გაფიცვების შემდეგ ის ჩამოდის სამშობლო სოფელში, მათხოჯში, და ეწევა მუშაობას და პირველი ნაყოფი მისი მუშაობისა სხვების დახმარებით შეიქნა მათხოჯის კოოპერატივის გახსნა, სადაც ის ეწეოდა პარტიულ ლიტერატურის გავრცელებას და თავის „შუშტებში“ აგიტაციას, რასაც მოყვა მისი დაპატიმრება. რამოდენიმე თვის შემდეგ ის დაუბრუნდა კიდევ უფრო მეტი ენერგიით პარტიულ მუშაობას. მან ჩვენი ამხანაგების შემწეობით პირველათ აიფრიალა წითელი დროშა ხონის რაიონში. უიმისოთ არც ერთი ამბ. არ შედიოდა ხალხში სააგიტაციოთ. გლეხკაცებში მას ტოლი არ ყავდა შევნებით. უკანასკნელი ამ 10 წლის განმავლობაში სოხუმის ორგანიზაციაში მუშაობდა.

ნ. მ.

## პროვინციის ცხოვრება.

ს. ჩიბათი (გურია). აქ არსებობს მენშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც მეთაურობენ ავანტიურისტები და ხალხს ატყუებენ: სოციალ დემოკრატები ვართო. ეს ვაჟბატონები გახლავთ ძველი ვითომდა 1905 წ. დემოკრატები ამათი მეთაური გახლავს ვ. ჯუნუა (შხანკოლა), რომელიც მთელი რევოლიციის დროს 9 წლის განმავლობაში—ეწეოდა შავრაზმულ საქმეებს ადგილობრივ მთავრობასთან კავშირით და ატყუებდა ხალხს და ამავე ნიადაგზე ბევრჯელ ქონდა ლანჩხუთის ს. დ. მენ. კოლექტივისგან ბრალდებას

წამოყენებული ს. ჩიბ. ორგანიზაციაში მაგრამ ბ. ვ. ჭყონიას ჩიბ. ს. დ. მენ კოლექტივებში ყავს მისი ალბათ ძველ საქმეებში მოზიარე დამჭაობები რომლებიც ლანჩხუთის კალექტივს ყოველთვის წინ ჰირი ელობებოდენ და მალავდენ სიმართლას, მაგრამ როგორც ყოველთვინ თავს არ იმალაეს ერთ ამ ორი წლის წინეთ ამ ეაბატონისგან საშინელ ავანტიურის ჩადენის შესახებ ორი თვის წინეთ საჩივარი იქნა აღძრული ლანჩხუთის აღმასრულებელ კომიტეტში და ჯერ კი სდუმან. ჩვენგან უცოდინარ მიზეზით თვით იმავე საქმეზე ლანჩხუთის კოლექტივიც აღიძრა საჩივარი, რადგან თვით ჩიბათის მენშ. კოლექტივი ვ. ჭყონიას დამჭაობების ინიციატივას ემორჩილებოდა მაგრამ აქაც საქმე თავს ვერ მოდის ჯერ ჩვენ წინასწარ ვიცოდით შედეგი მაგრამ რადგან ნათქვამია მტყუანს კარამდი მიყვეო ს. ჩ. კოლექტივშიც წაუყენეთ ბრალდება საუკეთესო მისიღებ პირობებში: თუ ვ. ჭყონიას დაუმტკიცებდით ზემო აღნიშნულ ბრალდებას ვ. ჭ. უნდა დამჯდარიყო 6 თვეს ციხეში და თუ არ დამტკიცდებოდა თვით ბრალმდებელი ამხ. ვ. კუნჭულიას უნდა მოეხადა იგივე სასჯელი და აგრეთვე 4 წლით ღირსება ეხდებოდა მტყუან მხარეს და ჰოი საკვირველებავ, ეს პირობებიც ვერ მიიღეს და სამარცხვინოთ უკან დაიხიეს. ამბობენ: რადგან ბრალმდებელს ინტერესი აქვს ბრალდებულის კოლექტივი არ ღებულობს საქმეს გასარჩევათო. გეკითხებით საკვირველნო სოციალისტებო რა საერთო აქვს თქვენ ნათქვამს სინამდვილესთან. ნუ-თუ თქვენ შუბლის კანმა ყველაფერი სარცხვინო უნდა აიტანოს გაუწითლებლათ? ნუ თუ თქვენ მთლათ დაჰკარგეთ ისიც კი რაც სჭირია ყველა ადამიანს რაც გინდა ის ჩამორჩენილი იყოს ცხოვრებას და მთლათ გადასახლდით ტრიანგლებთან რა ინტერესი აქვს ვ. კუნჭულიას ბრალდებულ ვ. ჭყონიას თუ არ ის, რომ ამ კაცმა ალბათ ქრთამებით ლანჩხუთის ყრფილ ბოქაულ კახიძესთან ერთათ დუქნის გაკარცვის ჩამდენი უმთავრესი დამნაშავეები დამალეს მაშინ როდესაც ს. ჩიბათის საზოგადოებამ ვ. ჭყონიას და სხვებს მიანდო ავაზაკების მონახვა და ვ. ჭყონიამ კი სხვა კომისიებს პრისტავთან კავშირით საქმის საიდუმლოება არ გააცნეს. გეკითხებით თქვენ ვითომდა მშრომელთა მოჭირისუფლენო ამ ძარცვის წყალობით ნახა თუ არა 20 000 მანეთი ზარალი ს. ჩიბათის მშრომელმა ხალხმა და ერთი ჩვენი სანდო ამხანაგთაგანი ოჯახი მთლათ დაიღუპა.

ეხ საშინელება, რომელიც ამ საქმის გარშემო მოხდა აქ ხომ არ დაიწერება? იმას მაშინ ვეტყვით მკითხველს როდესაც თქვენ პასუხს მოგვცემთ ყველა ზემოთ ნათქვამში თუ მოიკრებთ გაბედულებას შეგიძლიათ დაამტკიცოთ წინაღმდეგი ცხადი და ნათელია ათასჯერ არ იცით აშკარათ ყველაფერი და თქვენ კისრულობთ თავზე ისეთ ავანტიურისტის მალვას, როგორიც ჯარის ვ. ჭყონია ამაეე ნიადაგზედ თქვენ ჩაიდინეთ სამარცხვინო საქმე, როდესაც ლანჩხუთის კოლეკტივმა წაუყენა ბრალდება მსგავსს დანაშაულობისთვის ხსენებულ პირს, და აგრეთვე ათასჯერ დიდ დანაშაულობას ჩადიხართ რომდესაც თვით აღმასრულებელ კომიტეტში თებერვლის რევოლიუციის დროს უბეგიტაციობის მიზეზით აღმ. კომიტეტში გარეთ ისეთ პირები, რომლებიც აშკარა ხალხის მოღალატეა და როცა ჩვენ ყველაფერი ვიცოდით ხსენებულ კომიტეტის ერთ-

ჯგუფის ბნელი საქმეებია. ხალხის მოტყუება შავრაზმელებთან კავშირი და შეუსაფერი ჯგუფიც გყავთ კომიტეტში, რომლებთან დასწრებაც კი შეაძულეს ნამდვილს გულშემატკივარ ამხანაგებს, რადგან ზემოთ აღნიშნული ყველაფერი მეათასედია იმ სინამდვილის, რასაც თქვენ ჩადიხართ, რადგან თქვენ (მხედველობაში მყავს ად. მენ. კოლექტივის ერთი ჯგუფი) ჩაეარდით დანახულათ იმ ტალახში, რომელსაც წინეთ ვითომდა ამაგებდით, დღეს ნება გვიბოძეთ შეგეკითხოთ ნუთუ ჯგონიათ ხალხი პასუხს არ მოგთხოვთ თქვენ!! გირჩევთ ეცადოთ დიდიხნის დაწყებული თქვენებური სოციალისტური საქმეები გაახანგრძლივეოთ, იქნებ ბედმა არ გიმუხთლოთ და შესაფერი მთავრობა იშოვოთ; დასასრულ ძლიერ ვშიშობთ, რომ თქვენ ეხლაც დუმილით გვპასუხებთ, ეშიშობთ იმიტომ, რომ დუმილი თქვენი წაგეართმევს საშვალებას გადაუშალოთ მკითხველს თქვენი ბნელი საქმეების უთვალავი არხივი.

ვ. ლესელი

სოფ. წყალტუბო. ს. წყალტუბოში საზოგადოების ორი მესამედი დიდ სიმშილობას განიცდის. მთელი სალდათობა უსაზრდოთ არის, ამავე დროს ბევრს მოეპოება გასაყიდი სიმინდი, ასე რომ აქეე მცხოვრებ სიმინდის მეპატრონეებს შეუძლიან ამ საზოგადოების დარჩენა. მაგრამ გაიგეს, რომ სიმინდის ფასი თან და თან მატულობსო, შეაჩერეს მისი გაყიდვა და ყველა დამშეული ცივი უარით გაისტუმრეს. ცხადია რომ აქ სალდათებს უნებურათ ძალა უნდა ეხმარათ რომ ხელთ ეგდოთ სიმინდი თავის მშიერ ცოლ-შვილის გამოსაკვებათ. როცა სალდათები სიმინდის მეპატრონეებს დაეცემოდენ, დიდი მარცხი მოხდებოდა, და ეს რომ არ მომხდარიყო, საჭირო იყო კოოპერატივების გამგეებს ჩამოეთმიათ ზედ მეტი სიმინდი მეპატრონეებისთვის და გადაეცათ სალდათების დამშეულ ცოლ-შვილისთვის, რასაც უკვე შეპირდნენ ხალხს ორი თვის წინ. მთელი საზოგადოება მათ შესცქერ და და სიმინდის მოლოდინში იყო. ყველა სიმინდის ჩამორთმევის უცდიდენ. ლაპარაკით კი ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ საქმით და მოქმედებით ჯერ-ჯერობით არსად სჩანდენ, ყოდეც ტრაბახობდა კომიტეტის თავმჯდომარე, ვ. იოსელიანი: „მე კაცი არ ვიქნები, ყველას სანჭარო ზედმეტი სიმინდი თუ არ ჩამოვართვი და კოოპერატივებს არ გადავეცი“. გადიოდა დრო და მისი ნათქვამი არ მართლდებოდა. იქნება დაავიწყდა სულ მთლად ხალხის დავალებანი, რადგანაც ცოტა არ აყოს, გულმავიწყია? „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“. ის მაძღარი იყო და ჩვენ მშიერები, როდის ვიხსოვდით. თანაც კოპერატივების გამგეობასაც ეუბნებოდა, რომ მათ არ ჩამოერთმიათ სიმინდი მის დაუკითხავათ, კოოპერატივების გამგეობა უცდიდა ვ. იოსელიანს, მარა ის თავს არ იწუხებდა. ბოლოს ყველა მიხვდა, რომ მოლოდინი უცრუდებოდა; ყველამ შეატყო რომ ვ. იოსელიანი ტრაბახობდა და საქმით კი განზე იდგა მაშინ მათ არ ჩამოერთმიათ სიმინდი მის დაუკითხავათ, კოოპერატივების გამგეობა უცდიდა ვ. იოსელიანს, მარა ის თავს არ იწუხებდა. ბოლოს ყველა მიხვდა, რომ მოლოდინი უცრუდებოდა; ყველამ შეატყო რომ ვ. იოსელიანი ტრაბახობდა და საქმით კი განზე იდგა მაშინ სალდათებმა, განსაკუთრებით ხომლისამ,იდეეს ადგზე ამ საქმის მოგვარება და მოუწოდეს თავიანთ ამხანაგებს,და მოახსენეს კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. იოსელიანს და თანაც კომისარს (თუმცა კომისარი იგივეა, რაც ვ. იოსელიანი), რომ მოეხდინა მთელი საზოგადოების სალდათთა კრება. მაგრამ ეს მან არ ასრულა. პირიქით ყვიროდა: ვინ არის ამისთანაებს რომ ბევს“. დანიშნულ დროზე შეიკრიბა ხომლის სალდათები, მაგრამ საუბედუროდ მათ სხვა სოფლის სალდათი არც ერთი დახვედრიათ. სალდათები გაბრაზდენ და იქაურობას აოხრებას უპირებდენ, მაგრამ დიდის ხვეწნით დააწყნარეს. ვ. იოსელიანმა მაშინ შეპირდა ვ. ჭყონიას შეკრებას ამ სალდათების სალდათების შეკრებას ამ სალდათების კრებაზე უნდა იქმნას არჩეული პირები, რომლებსაც ექნებ უფლება და ეეალება ზედმეტი სიმინდის ჩამორთმეეა. ვსურვებ მათ, რომ საქმე ბოლომდის მიეყვანოთ.

კლდეველი.

ჯუმათი (გურია) აქ დიდი ხანია, რაც არსებობს სოციალ-დემოკრატიული მეუმრავლესეთა ორგანიზაცია. წევრების რაოდენობა ადიოდა დღემდის 40 კაცამდის, რიცხვი წევრებისა თანდათან იზრდებოდა და დღეს კი 200-ზე ავიდა. პარტიის წევრებმა განიზრახეს მოეწყოთ ამს, ა. ერქომაშვილი და გაემართათ უფასო ლექცია ამხ. ალექსანდრე დიდი სიხარულით დასთანხმდა. იანვრის 18 დღის ორ საათზე უნდა მოსულიყო ოზურგეთიდან ალექსანდრე ერქომაიშვილი, მას დაგვიანდა. კრების წევრებს ეგონათ, რომ ალექსანდრე აღარ მოვიდოდა და მოითხოვეს კრების გახსნა. თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული სე-ვასტი სარიშვილი, მდივნათ კირილე ჩხარტიშვილი. მდივანმა გააკეთა მოკლე მოხსენება მომენტზე. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) დელეგატის არჩევა საგუბერნიო კონფერენციაზე 2) ცენტრალური კომიტეტის არჩევა, 3) მუდმივი სასახუხისმგებლო კორესპონდენტის არჩევა, 4)წევრების მიღება პარტიაში დელეგატათ იქმნა არჩეული სე-ვასტი სარიშვილი, ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს ხალამპრე ხაფთასი და) ქრისტეფორე ტაკიძე. პასუხისმგებელ კორესპონდენტათ კირილე ჩხარტიშვილი, საღამოს 4 საათზე კრება დაიხურა მიუხედავათ ცუდი ამინდისა ლექტორი ერქომაშვილი მოვიდა საღამოს 6 საათზე ამავე საღამოს იყო კოოპერატივის წევრთა კრება, კრებამ მიიღო წინადადება ალექსანდრე ერქომაიშვილის, გაუქმებულ იქნას სასურსათო კომიტეტი და საქონელი გადაეცეს კოოპერატივებსო. კრებამ ოქმიც მისცა ალექსანდრეს ამის შემდეგ იქნა გამოცხადებული, რომ ამხ ერქომაიშვილი წაიკითხავს ლექციასო. ამის გამგონმა მენშევიკებმა იმ წამსვე გაიქცენ გაბრიელ გოგვაძესთან. მეორე დღეს დილის 11 საათზე იქნა გამართული ლექცია.

ხალხმა დიდი ტაშის ცემით დააჯილდოვა ჩვენი ლექტორი.

გაბრიელ გოგვაძემ კამათის მაგიერ მორთო ლანძღვა ბალშევიკების. მას უნდოდა მოეტყუებინა ხალხი: ნოე ჟორდანია ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეაო, მაგრამ ამაოთ. იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: გაკიცხვა ამიერ კავკასიის კომისარიატს. უკან ვიბრუნებთ ჩვენ მიცემულ ხმებს პირველ ნომრისათვისო №1). დიდის ზეიმით აღიარებული იქნა საბჭოთა მთავ. ს.შ.ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა კირილე ჩხარტიშვილმა, რომელსაც მუშტს უღერდნენ მენშევიკები. მან სთქვა შემდეგი: გაუმარჯოს რუსეთთთან ერთათ მუშაობას! გაუმარჯოს საბჭოების მთავრობას! გაუმარჯოს ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ! გაუმარჯოს ბალშევიზმს! გაუმარჯოს სოციალიზმს. ხალხმა დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი

კირილე ჯუმათელი.

## განცხადებები

„ბრძოლის“ რედაქციასთან პირ... მოლაპარაკება შეიძლება რედაქ... ყოველ დღე დილის 11 12 საათზე.

ხუთშაბათს პირველ თებერვალს ... ლი სემინარიის შენობაში (ლორის ... ლიქოვის ქუჩა სოც. ფედერალ... პარტ. ბიუროში) საღამოს ცხრა სა... დანიშნულია თბილისში მყოფი ქა... ლი ფარმაცევტთა საერთო კრება. ... ხოვთ ყველა ამხანაგებს მიუხედავად ... მართულებისა დაესწრონ კრებას, ... განაც ფრიად საყურადღებო საკითხ... გასარჩევი.

შაბათს, 3 თებერვალს საღამოს 7 ... სამედიცო საზოგადოების დარბაზ... (პუშკინის ბიბლიოთეკის ბინა, ალექ... დრეს ბაღში) რ. ს. დ. მ. პ. ბალშე... კების თვე. მეოთხე რაიონის კოლექტივის ... მართავს ლ ე ქ ც ი ა ს „დამშვი... ბელი კრება და საბჭოები“. წაიკით... ამხ. მიხა ცხაკაია. შესასვლელი ბი... ფასი 60 კ. ბილეთები იყიდება რაიო... ბიუროში.

რ. ს. დ. მ. პ. (ბალშევიკების) თბ... ლისის პირველი რაიონის წევრები, რ... მელთაც 1918 წლის საწევრო ბილეთე... არ მიუღიათ, პარტიიდან გასულად ... ჩაითვლებიან; ამიტომ ვთხოვთ ამხანაგ... დააჩქარონ ახალი ბილეთების მიღება.

რ. ს. დ. მ. პარ.(ბალ.) თბილ. პ... ველი რაიონის ამხ. პროპაგანდისტებ... და აგიტატორებს, რომელთაც სურ... სოფლათ გავიდენ პარტიულ მუშაობ... თვის ვთხოვთ ახლავე ჩაეწერონ კოლ... ქტივის მდივანთან ბიუროში.

პირველი რაიონის აგიტატორ—პრო... პაგანდისტთა კომისია.

კოლექტივი.

რ. ს. დ. მ. პ. (ბალ.) თბილ. მეოთხე რაიონის კოლექტივი 1 თებერვალს ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე სამედიცი... საზოგადოების შენობაში (პუშკინის ბი... ლიოთეკა ალექსანდრეს ბაღში) თეზის... წევრთასაერთო კრებას.

დღის წესრიგი: 1) მოხსენება რაიონის კომიტეტისა. 2) მოხსენება საქალაქო კონფერენციაზე. 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 4) მიმდინარე საქმეები.

მეოთხე რაიონის ბიურო.

რ. ს. დ. მ. პ. (ბალ.) თბილ. ორგანიზაციების კომიტეტების ბიუროების ყურადღებას:

საქალაქო კომიტეტის: განიღის ქ. № 3 („ბრძოლის“ რედაქცია ტელეფონი 3—11 კომიტეტის მდივანი იმყოფება დილის 10 საათ. ნაშ. 2 საათამდე საღამოს 6—8 საათ.

I რაიონის: ჩერქეზოვის ქუჩა № 18 მდივანი იმყოფება საღამოს 5—8 საათამდე.

II რაიონის: ელისაბედის ქუჩა № 1 მდივანი იმყოფება საღამოს 6—8 საათამდე.

III რაიონის: კახეთის ქუჩა № 1 (ავლაბრის კლუბი) ტელეფონი 5—98 მდივანი იმყოფება დილის 11 ს. ნაშუადღევის 2 საათამდე. საღამოობით 5—9 საათამდე.

IV რაიონის: განიღის ქუჩა № 3 („ბრძოლის“ რედაქცია) ტელ. 3—11 მდივანი იმყოფება საღამოობით 5—7 საათ.